სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათას ჩვიდმეტი წლის თხუთმეტ ნოემბერს მე, ნოტარიუს ლია გოგიას სანოტარო ბიუროში (მდებარე მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ. 46) მომმართა **ბექა ძაგნიძემ**, რომელმაც განაცხადა, რომ არის შპს "სასტუმროს მართვის კომპანია"-ს (ს/კ402050178) დირექტორი და სურს შპს "სასტუმროს მართვის კომპანია"-ს სახელით **ნინო კურცხალიას** მიმართ მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი უფლებამოსილება ამონაწერით, მომზადების თარიღი: 03/05/2017წ. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B17048587, საიდენტიფიკაციო კოდი: 402050178 . მე დავადგინე **ბექა ძაგნიძის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ბექა ძაგნიძემ** (დაბ.19.03.1987წ., თბილისში, პ.№01007015689, პ.მოწ/№17IA43258, გაცემული 07.06.2017წ., იუსტიციის სამინისტროს მიერ, განცხ. მის: ქ. თბილისი, აკ.წერეთლის გამზ. N 59 ბ. 19) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. მე დავადგინე მინდობილობის შინაარსი და შევადგინე მისი პროექტი. მე, ნოტარიუსმა ლია გოგიამ წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე **ბექა ძაგნიძეს** და განვუმარტე მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე განვუმარტე ის, რომ მარწმუნებელს ნებისმიერ დროს შეუძლია გააუქმოს ეს მინდობილობა. **ბექა ძაგნიძემ** დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს შპს "სასტუმროს მართვის კომპანია"-ს (ს/კ 402050178) ნებას. მან პირადად წაიკითხა და მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მინდობილობა

მე, **ბექა ძაგნიძე**, როგორც შპს "სასტუმროს მართვის კომპანია"-ს (ს/კ 402050178) დირექტორი **ნინო კურცხალიას** (დაბ.26.06.1987წ., თბილისში. პ/№ 01030037319) ვანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

ნინო კურცხალია უფლებამოსილია წარმოადგინოს შპს "სასტუმროს მართვის კომპანია"-ს ინტერესები მერიაში და მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებში, გამგეობაში, კავშირგაბმულობის კომპანიებში, ნებისმიერი სატელეფონო და ინტერნეტ სახის მომსახურებაში, ინტერნეტ პროვაიდერში, ტელეკომუნიკაციაში, მათ შორის შპს „მაგთიკომში", სს „სილქნეტში", კომუნალური მომსახურების სერვისცენტრებში, მათ შორის "თელასში", "ყაზტრანსგაზში", "ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერში", შპს „თბილსერვის ჯგუფში", და სხვა კომპეტენტურ ორგანოებში.

ეს მინდობილობა გაცემულია მესამე პირებზე გადანდობის უფლების გარეშე, ერთი წლის ვადით და ძალაშია 2018 წლის 15 ნოემბრამდე.

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ლია გოგიას არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს. მინდობილობის იმ ეგზემპლიარს რომელიც რჩება ნოტარიუსის არქივში თან ერთვის შპს "სასტუმროს მართვის კომპანია"-ს (ს/კ 402050178) ამონაწერი.

გადახდილია სანოტარო საზღაური "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 31-ე მუხლის თანახმად ათი(10) ლარი, ასევე 39-ე მუხლის თანახმად სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური ორი(2) ლარი, სულ თორმეტი(12) ლარი.

შპს "სასტუმროს მართვის კომპანია"-ს დირექტორი ბექა ძაგნიძე: ბექა ძაგნიძე

ნოტარიუსი ლია გოგია

სანოტარო მოქმედების იდენტიფიკაციური ნომერი

58644564980317

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N171336057

რეგისტრაციის თარიღი

15.11.2017 წ

ნოტარიუსი: ლია გოგია
მისამართი: თბილისი რუსთაველის გამზ. 46
ტელეფონი: 2997950

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18